საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1511/01
07/02/2020

1511-01-2-202002071550

შპს ,,კარგო პარსელს"
მის: ქ. თბილისი, ვაკის რ-ნი, წყნეთის
გზატკეცილი N2, ბლოკი A, ბინა 10

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 29 იანვრის წერილი N1335, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ღია სასაწყობო მეურნეობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის (ქიმიური პროდუქტების საცავი) სკრინინგის განცხადებას.

როგორც სამინისტროს N189/01 08/01/2020 წერილით გეცნობათ, 1 000 მ³ ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. სკრინინგის განცხადება სამინისტროში წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს „ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა-ექსპლუატაციას". ამასთან სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „სასაწყობო მეურნეობაში უნდა განთავსდეს ერთდროულად მაქსიმუმ 1000 მ³ კარბამიდი".

ვინაიდან სასაწყობო მეურნეობაში დაგეგმილია მაქსიმუმ 1000 მ³ კარბამიდის განთავსება, გაცნობებთ, რომ აღნიშნული წარმოადგენს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართის 29-ე პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას. ხოლო ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის განმახორციელებელმა ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა.

დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ სამინისტროში წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების ელექტრონული და მატერიალური ვერსიები არ შეესაბამება ერთმანეთს.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე